№ 185 მთავრობის მოამბე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, აგვისტოს 18 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20·%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

გაგრა

კლიმატიური სადგური თფილი ჰავით სარგებლობის მიზნით სრულიად დაბურულია ჩრდიდოვთის ქარისაგან.

წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა არის $15^1/_2{}^0$ ცელ. სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

სასარგებლოა: სისხლ ნაკრულთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, ძარღვებ აშლილთათვის, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მოსაკეთებელთათვის და საერთოდ მოქანცულთათვის.

სუბ-ტროპიკული მცენარეები, პალმები, მანდარინები, ლიმონები, ციტრენები და საუცხოვო მთის ნაკადულების წყალი.

სამაგალითო კანალიზაცია.

მზად არის 2 სასტუმრო 150 ოთახით. შეკეთებაშია 1 სასტუმრო 60 ოთახით. ოთახი ელექტრონის განათებით და მოსამსახურით დღე და ღამეში ღირს 40 მანეთიდან-ზევით; ხასტუმროშივე არის ფოსტა-ტელეგრაფი. პირველი ხარისხის სასადილო, საერთაშორისო სამზარეულოს სხვა და სხვა საღი საჭმელებით, საზღვარ გარეთელი და რუსული ღვინოები ზომიერ ფასებში, ექიმები, აფთიაქი, სამაგალითოდ მოწყობილი გამთბარი ზღვის წყალის, მზის სხივების და ელექტრონის ვანები, Душ Шарко.

მხატვრული მიდამოები. მთის ჰაერი. თევზაობა. ნადირობა. გემებით მიმოსვლა.

შეკითხვებით გთხოვთ მიმართოთ გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგეობას გაგრაში.

824 3—3

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილი ამით აცხადებს,

რომ შაბათს ამა წლის 28 აგვისტოს, დილის ათ საათზე, ხსენებულ ნაწილთან დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბათომის საბაჟოს სახაზინო შენობათა შეკეთების იჯარით გაცემის შესახებ.

ვისაც ხსენებულ სამუშაოს აღება სურს, უნდა დანიშნულ დროს გამოცხადდეს საბაჟო ნაწილში საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ.

847 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ქ. გორის თვითმმართველობისათვის 14.400 400 მან. სესხის მიცემისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ოთხმეტი მილიონი ოთხასი ათასი ოთხასი (14.400.400) მან. ქალ. გორის თვითმმართველობისათვის ათის წლის ვადით უპროცენტო სესხის მისაცემად საჯმშენებლო საჭიროებისათვის.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს ხაზინას ქ. გორის თვითმმართველობის მიერ 1921 წ. ივნისის 1-დან ერთი მილიონი ოთხას ორმოცი ათასი ორმოცი (1.440.040) მან. გადახდით ყოველ წლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალაქ გორის თვითმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

დედობისა და ბავშობის საზოგადოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად 380.092 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის სამას ოთხმოცი ათას ოთხმოცდა თორმეტი (380.092) მანეთი დედობისა და ბავშობის საზოგადოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად „ბავშის სახლის", კონსულტაციისა და „ბავშის ბაგის" მოსაწყობად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

სახაზინო რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთათვის დაკლებულ ფასში პურის მისაწოდებლად 140.000.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შრომის მინისტრის განკარგულებისათვის ას ორმოცი მილიონი (140.000.000) მანეთი სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის დაკლებულ ფასში პურის მისაწოდებლად ამა 1920 წლის ივნისის 1-დან დეკემბრის 1-დე.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

გორის მაზრის ერობისათვის 20.000.000 მანეთის სესხის მიცემისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ოცი მილიონი (20.000.000) მანეთი გორის მაზრის ერობ-სათვის ათი წლის ვადით უპროცენტო სესხის მისაცემად მაზრის ერობის საჯმშენებლო საჭიროებისათვის.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს ხაზინას გორის მაზრის ერობის მიერ 1921 წლის ივნისის 1-დან ორ. ორი მილიონი (2.000.000) მანეთის გადახდით ყოველ წლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს გორის მაზრის ერობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

ბათომისა და ბათომის ოლქის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნების მისაწოდებლად შრომის მინისტრის განკარგულებისათვის 100.000.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შრომის მინისტრის განკარგულებისათვის შრომის სამინისტროს 1920-1921 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ასი მილ. (100.000.000) მანეთი ქ. ბათომისა და ბათომის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნების მისაწოდებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

საკულტურო მამულების ყოფილ მესაკუთრეთათვის ჩამორთმეული ინვენტარის საფასურის მისაცემად 97.698 მ. 55 კ. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას ექვსას ოთხმოცდა თვრამეტი მან. 55 კ. (97.698 მ. 55 კაპ.) საკულტურო მამულების ყოფილ მესაკუთრეთათვის ჩამორთმეული ინვენტარის საფასურის მისაცემად შემდეგის განაწილებით.

ა/ი. ა. ანანოვის მემკვიდრეებს „აჯამეთის" მამულის ინვენტარის საფასურად თხუთმეტი ათას ოთხმოცდა თხუთმეტი მან. 75 კაპ. (15.095 მან. 75 კაპ.), ბ) ძმათა მანთაშოვებს, „ნავთლუღის" მამული-ორიათას ორას ოცდა თერთმეტი (2.231) მანეთი, გ) მ. ფრიდონოვს „მანავის" მამული-სამოცდა ოთხი ათას ოთხას ოცდა თექვსმეტი (64.436) მანეთი, დ) მ. შერემეტიევს „კარდანახის" მამული-ცხრა ათას ოცდა ათი მან. და 80 კაპ. (9.030 მან. 80 კაპ.), ე) ჩოლოყაშვილის „ჭიათურის" მამული-ათას რვაას ოთხმოცდა ხუთი (1.885) მანეთი და ვ) ა. ბახმეტიევს „გომბორის" მამული-ხუთი ათას ოცი (5.020) მანეთი.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

14 აგვისტოს, 1920 წელს.

დაინიშნენ: ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორინთელი, პეტრე გიორგის ძე ციციშვილი, დავით ათანასის ძე გრიგორაშვილი, დიმიტრი სოლომონის ძე ვაჩნაძე და დავით სვიმონის ძე კობიაშვილი ნაწილის გამგეებათ, მათ შორის კორინთელი ა. წ. 23 ივნისიდან, ციციშვილი 1 ივლისიდან, ვაჩნაძე 19 ივლისიდან, გრიგორაშვილი და კობიაშვილი 24 ივლისიდან, ალექსანდრე სიმონის ძე ვაშაკიძე, გრიგოლ გაბრიელის ძე მაჩხანელი, გრიგოლ ზაქარიას ძე ტოგონიძე, დავით მოსეს ძე კაკაბაძე, გაბრიელ ივანეს ძე თულაშვილი, ნიკოლოზ მიხეილის ძე გიგაური და ალექსანდრე პეტრეს ძე ნაიტაკი ნაწილის გამგის უფროს თანაშემწეებათ, მათ შორის ვაშაკიძე ა. წ. 16 ივნისიდან, მაჩხანელი 18 ივნისიდან, ტოგონიძეს და კაკაბაძე 23 ივლისიდან, თულაშვილი, გიგაური და ნაიტაკი 24 ივლისიდან; პანტელეიმონი გერასიმეს ძე მაზავრიშვილი—კასირათ ა. წ. 21 ივნისიდან, იაკინთე ერასტის ძე ნიორაძე და ალექსანდრე მათეს ძე ტროიცკი კასირის თანაშემწეებათ პირველი ა. წ. 3 და მეორე 24 ივლისიდან, გიორგი ესტასტეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ევტიხი ნიკოლოოზის ძე მებუკე და ლეონტი ჩითანის ძე თავართქილაძე—უფროსი საქმის მწარმოებლათ, პირველი ა. წ. 8 ივნისიდან, მეორე 30 ივნისიდან და მესამე 26 ივლისიდან; ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბასილაია ირაკლი ნესტორის ძე თაქთაქიშვილი, სვიმონ პარმენის ძე გამყრელიძე, კარპი გიორგის ძე ჭირაქაძე და ნოე სოლომონის ძე ჩხენკელი ნაწილის გამგის უმცროს თანაშემწეებათ, მათ შორის ბასილაია ა. წ. 9 ივლისიდან, თაქთაქიშვილი და გამყრელიძე 23 ივლისიდან, ჭირაქაძე 28 ივლისიდან და ჩხენკელი 1 აგვისტოდან, ვლადიმერ თეოფილეს ძე ხუსკივაძე, დავით ვახტანგის ძე გურამიშვილი და სევერიანი სამსონის ძე კეკელიძე უმცროსი საქმის მწარმოებლად, პირველი ა. წ. 8 ივნისიდან, მეორე 1 ივლისიდან და მესამე 1 აგვისტოდან, ეკატირინე იოსების ასული ბახუტაშვილი, ქსენია ივანეს ასული რამიშვილი, გიორგი ირაკლის ძე ჯაყელი, ოლღა პლატონის ასული ნემსაძე მოანგარიშეებათ, პირველი ა. წ. 5 ივლისიდან მეორე და მესამე 23 ივლისიდან და მეოთხე 26 ივლისიდან, სიმონ ლევჩენკო, ვასილი შალი, იაგორ ზაკუტკო, პეტრე მოლოში, დიმიტრი კუზინი, პავლე ტროიცკი და სერგეი ტერემჩენკო დამთვლელებათ ყველა შვიდნი ა. წ. 24 ივლისიდან, ალექსანდრა იაკოფის ასული ლომაია უფროს მანქანით გადამწერათ ა. წ. 23 ივლისიდან; კონსტანტინე პეტრეს ძე ასლანოვი მექანიკოსად ა. წ. 23 ივნისიდან, ირმა ალექსანდრეს ასული მაყაშვილი, მარიამ მელიტონის ასული ლორთქიფანიძე და ნინო ალექსანდრეს ასული ნიკიტინა მანქანით გადამწერებათ, პირველი ა. წ. 5 ივლისიდან, მეორე 23 ივლისიდან და მესამე 24 ივლისიდან.

—

სახელმწიფო ბანკის საბჭოს დადგენილების თანახმად ნაწილის გამგე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორინთელი დამტკიცებულია მთავარი კასირის თანამდებობაზე.

სახელმწიფო ბანკის გამგეობის დადგენილების თანახმად ევალებათ: ნაწილის გამგეს დავით სვიმონის ძე კობიაშვილს მთავარი ბუჰხალტერის თანამდებობის დროებითი აღსრულება, და ნაწილის გამგეს დიმიტრი სოლომონის ძე ვაჩნაძეს კონტროლიორის თანამდებობის დროებითი აღსრულება.

სახ. ბანკის მმართველი **ი. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელი კრება

16 აგვისტოს სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტების საბოლოო ტექსტი.

ივ. გომართლის, ივ. ლორთქიფანიძის და გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო უწყების საავადმყოფოების ქალაქისა და ერობის თვითმართველობისათვის გადაცემისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ ნეიტრალური ზონის მილიციის და ხარჯთაღრიცხვის შეცვლისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის სტამბის შესაკეთებლათ 392747 მ. გადადების შესახებ.

ი. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთა პენსიის რაოდენობის შეცვლისა სამუშაო ხელფასის ცვლილების მიხედვით.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სოციალური დახმარების 1-ი, 4-ე და 6-ე მუხლის შეცვლისა.

გრ. ვეშაპელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ახალციხის წყალსადენის აღსადგენათ 900 ათასი მან. გადადებისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920—21 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადადებისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო ბანკისთვის 50 მილიონი მან. სესხის მიცემისა—დამზღვევი ფონდის დასაარსებლათ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ყველა დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.

ვ. თევზიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის რკინის გზის ტარიფის მომატებისა.

ვ. რუსიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ქ. გორის გასაშენებლათ თავისუფალი კერძო მიწების ჩამორთმევისა.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სასახლის შესაკეთებლათ 9 მილიონი მან. გადადებისა.

ვ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონი მან. გადადებისა ნავთისა და ნავთის პროდუქტების შესაძენათ.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—დასავლეთ ევროპაში გასაგზავნ საქართველოს მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის 8 მილიონი მან. გადადების შესახებ. შემდეგ არჩეულ იქნა საპენსიო წესდების და სატეხნიკო კომისია.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიღებულ დეკრეტებისა.

დასასრულ კრებამ გამოიტანა დადგენილება 15 ოქტომბრამდე სხდომის შეწყვეტის შესახებ. პრეზიდიუმს უფლება აქვს განსაკუთრებულ პირობებში მოიწვიოს დამფუძნებელი კრების არაჩვეულებრივი სხდომა 15 ოქტომბრამდისაც, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

დამფუძნებელ კრებაში

ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.

ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის შესახებ. პროექტის განმარტებით ბარაოში ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს ეკონომიურ მდგომარეობის მერყეობას, რასაც იმით ხსნის, რომ საქონელი ჩვენში მეტი შემოაქვთ, ვიდრე აქედან გააქვთ; ეს მოვლენა არის აგრეთვე უმთავრესი მიზეზი ფულის კურსის დაცემისა.. ქართული ბონების კურსის განსამტკიცებლად სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ვალიუტის შექმნა და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება. ყველა ამისათვის კი აუცილებელია შემოსატან საქონლის შემცირება ერთის მხრივ და გასატან საქონლის გაძლიერება მეორეს მხრივ. არსებული მომქმედი კანონები ვერ არის ფუფუნების საგნების შემოტანის შემზღუდველი. ამის გამო საქართველოში შემოდიოდა გამოუსადეგარი საქონელი, რაც ამძიმებდა ჩვენს ბალანს. ამ გამოუსადეგარ საგნებს ასაღებდენ საქართველოში და აღებული ფულით ყიდულობდენ ნედლ მასალას, ან ოქროს და მიეზიდებოდენ მას საზღვარგარეთ. სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფუფუნების ზოგიერთი საგნების შემოტანა აიკრძალოს. ასეთი ზომა არა მარტო სახელმწიფო ბალანსის მდგომარეობას გააუმჯობესებს, არამედ ეროვნულ მრეწველობის აღორძინებასაც ხელს შეუწყობს. ფინანსთა მინისტრის მოხსენებას თან ახლავს სია იმ საქონელთა, რომელთა შემოტანაც უნდა აიკრძალოს.

სახელმწიფო ბანკის ოპერაციები.

დამფუძნ. კრებაში შეიტანეს პროექტი სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ. ძირითად თანხის გადიდების საჭიროებას ქართული ბონების კურსის დაცემითა და საქონლის გაძვირებით ხსნიან. გასესხებული თანხებიც ასეთივე პროპორციით უნდა გადიდდეს. სახელმწიფოში ვითარდება ეკონომიური ცხოვრება და ბანკი იძულებულია ამა თუ იმ სამრეწველოს სესხად მისცეს დიდი თანხა. თავის განკარგულებაში უნდა იქნეს რაც შეიძლება მეტი ფული. მართალია, საგრძნობი თანხა შემოაქვთ ბანკის მიმდინარე ანგარიშზე, მაგრამ ამ თანხის სხვა ოპერაციებისათვის მოხმარება შეუძლებელია. ანგარიში უნდა გაეწოს ბანკში ფულის შემომტანელთა ფსიქოლოგიას, ეს ხალხი მცირე ძიზეზის გამო თხოულობს თავისი თანხის უკანვე გატანას. ამიტომ ბანკი მზად უნდა იყვეს მომთხოვნელს ყოველ წუთს მისცეს შემოტანილი თანხა. ასეთი გარემოება ბანკის საერთო მდგომარეობას განამტკიცებს. იღებს რა სახელმწიფო ბანკის გამგეობა ყველა ამ მოსაზრებას მხედველობაში, სთხოვს დამფუძ. კრების პრეზიდიუმს, რომ მან ეს პროექტი დამფუძნ. კრების პლენუმში განსახილველად შეიტანოს.

სატარიფო პალატიდან

ცირკულიარი

ყველა მუშათა ორგანიზაციებს და სამუშაოს მიმცემთ, ქალაქის და ერობების თვითმართველობებს, კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულთ.

სატარიფო პალატამ თავის 13 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა:

1) გადიდებულ იქნას პირველ აგვისტოდან 1920 წ. სატარიფო პალატის მიერ შემუშავებული იანვრის ჯამაგირი შემდეგი წესით:

ვინც იღებდა	2,500	მან—დი—	100%	
„ „	2,501	„	3000—90	„
„ „	3,001	„	3500—80	„
„ „	3,501	„	4000—70	„
„ „	4,001	„	4500—60	„
„ „	4,501	„	⊘ ზევ.—50	„

2) მომატება უნდა გატარდეს ისე, რომ სატარიფო ხელფასი მაღალი კატეგორიისა ნაკლები არ უნდა იყოს დაბალი კატეგორიისაზე დადაცულ იქნეს კატეგორიების წინადელი დამოკიდებულება.

3) ტარიფის სწორი დაწესება ევალება პალატის პრეზიდიუმს. აცნობებს რა ამის შესახებ სატარიფო პალატის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა დამქირავებლებს დაუყონებლივ მიეცეს მუშებს და მოსამსახურეთ დადგენილ მომატების თანახმად ჯამაგირი, სანამ ტარიფი დამტკიცდებოდეს.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე
ი. გოლდმანი.
მდივანი **ი. ტრეიმანი.**

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ბერლინი აგვისტოს 3. საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების უკანასკნელ კონფერენციაზე რუსეთში დელეგაციის გაგზავნა გადასწყვიტეს: დელეგაციის მიზანი იქნება: გაეცნოს რუსეთის მუშათა ცხოვრებას და გამოარკვიოს, თუ რა საფუძველებზე შეიძლება სურსათისა და ნედლი მასალის და აგრეთვე საფაბრიკო საქონლის გაცვლა-გამოცვლა. დელეგაციაში აირჩიეს: რუში, ციგლი და ეტერნი.

ვენა აგვისტოს 4. ადგილობრივ გაზეთების ცნობით საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელს მოლაპარაკება ჰქონდა უკრაინის ჯარების ხელმძღვანელ ომელიანოვიჩ-პავლენკოსთან უკრაინის ჯარისათვის სატეხნიკო მასალის მიწოდების შესახებ. განზრახულია გაიგზავნოს საფრანგეთის კომისია უკრაინაში უკრაინის ჯარის მდგომარეობის გასაცნობად.

რომი. გაზეთ „კორიერე დელა სერაში“ დაბეჭდილია დიდი წერილი რუსეთის შესახებ. წერილს ისეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: ეს წერილი ეკუთვნის რუსეთის ცხოვრებისა და მისი დღევანდელ მდგომარეობის მცოდნეს. ავტორი, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს რკინის გზის ტრანსპორტის დაშლას და სწერს: 500000 ვაგონიდან, რომელიც რევოლიუციამდი იყო ხმარებაში, ახლა დარჩენილია მხოლოდ 140000 ვაგონი და ისიც სანახევროდ საჭიროებს სერიოზულ შეკეთებას. ტრანსპორტის დაშლას.

ლონდონი. (რადიოთი) ლოიდ ჯორჯი კერზონის თანხლებით შეხვდა ამირბარ ბიტის, მილერანს და ფოშს, რომელნიც დღეს დილას ნალმოსნით ფოლკსტონში ჩამოვიდენ. ოფიციალურ მისალმების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდა. შემდეგ გაემართენ „ოლიმპიის“ ვილაზე, გაისის მახლობლად. აქ მიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ომისა და ზავის შესახებ.

„ევნინგ წტანდარტი“ სწერს: კამენევი და კრასინი დასთანხმდენ ლოიდ ჯორჯის წანადადებას პოლონეთთან 10 დღით ომის შეწყვეტის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში უნდა მოხდეს საზავო მოლაპარაკება. ამ თანხმობას ესაჭიროება აგრეთვე მოსკოვის დასტურიც.

„ექსჩენდშ-ტელეგრაფ კომპანი“ სწერს: კონფერენციას რუსეთისაგან პასუხი ჯერ კიდევ არ მიუღია, რაც მდგომარეობას მეტად აუარესებს. კონფერენციის საღამოს სხდომაზე იმსჯელეს პოლონეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ იმ შემდხვევაში, თუ პოლონეთსა და რუსეთს შორის შეთანხმება არ მოხდა. პოლონეთი მწუხარებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა სცდილობს ომის გაჭიანურებას.

რიგა. აგვისტოს 3. ესტონეთის პრესა აღნიშნავს სამინისტროს ქრიზისს. მთავრობის თავმჯდომარემ სამსახურს თავი დაანება. სდგება ახალი კოალიციონური მთავრობა. ბოლშევიკების გავლენა არ სჩანს. ეს აიხსნება ბოლშევიკების სურვილით ააცდინონ ესტონეთს დაშლა და იგი ევროპასთან დამოკიდებულებისათვის გამოიყენონ. იმავე გაზეთის ცნობით ბოლშევიკებმა რეველში მოაწყვეს ხელის ნიმუშების საჩვენებელი მუზეუმი. მათ ამით სურთ მიიზიდონ უცხოელი ვაჭრები.

პარიზი აგვისტოს 4. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობით, გრაბსკიმ, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელებთან მოლაპარაკების დროს, აღნიშნა, რომ პოლონეთის დახმარების უმთავრესი მიზეზი საომარი მასალის სიძვირე იყოო. ბოლშევიკებს კი ჰქონდათ საუკეთესო სამხედრო მასალა, რომელიც თავის დროზე მოკავშირეებმა დენიკინ-კოლჩაკს მიაწოდეს და რომლიდანაც ეს მასალა ბოლშევიკებს დარჩათ. არ იყო საკმაო მარტო მამულიშვილური გრძნობები. ახლა ასეთი მამულიშვილობა საკმაო იქნება, თუ მოკავშირეები საჭირო სამხედრო მასალას მოგვაწვდიან. პოლონეთს სწამს თავის ძალა და ევროპის მორალური დახმარებით ის თავს დააღწევს ბოლშევიზმის საშინელ თავდასხმასო. და ბოლოს გრაბსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაზე დახარჯულმა დრომ დაასუსტა პოლონეთი და უფრო განამტკიცა საბჭოთა რუსეთის დაპყრობითი მიზნებიო.

ვარშავა. პოლონეთის პარლამენტიორები აგვისტოს 10-ს ბრესტ-ლიტოვსკში მივიდენ.

პარიზი. „ტანი“ აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ დეპეშას, რომელც გაეგზავნა ინგლის. ამ დეპეშაში მოთხრობილია საბჭოთა რუსეთის ცნობა, სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა და სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლა.

რომი აგვისტოს 14. საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული ოფიციალურად ატყობინებს გარეშე საქმეთა სამინისტროს საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობას და კრასინ-კამენევთან დამოკიდებულების შეწყვეტას.

პარიზი. „ჰავასი“ იუწყება: ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ყოველ ზომას ღებულობენ ვრანგელის მთავრობის ცნობის საკითხში შეთანხმების მისაღწევად. პოლიტიკურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობა ამ საკითხში შეთანხმდება.

ვარშავა. თეატრის მოედანზე მიტინგი გაიმართა გადასწყვიტეს დაიცვან დედა-ქალაქი უკანასკნელ სისხლის წვეთამდი.

პარიზი. როდესაც ვენიზელოსი მარსელს წამოსასვლელად ლონის სადგ. მივიდა, მას მიუახლოვდა ორი ბერძენი აფიცერი, რომელთაც მას რამდენჯერმე ესროლეს. აფიცრები იქვე დაიჭირეს. ვენიზელოსი დაიჭრა. დაჭრილის მდგომარეობა არ არის საშიში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

პოლონეთის ცნობა.

ჩრთილოეთისაკენ დიდი ბრძოლა სწარმოებს. ბოლშევიკები პოლონელებს პლონსკის ახლო უტევენ. პოლონელებმა ბოლშევიკების სამი პოლკი გაფანტეს, ხელთ იგდეს 230 ტყვე და მიტრალიეზები. ულანის პოლკმა სასტიკ შეტევით გაანადგურა ბოლშევიკების რაზმი. ოპერაცია კარგათ ვითარდება. პოლონელებმა დაიკავეს კვლავ ნოვომინსკი და ...(დამახინჯებულია)... ვარშავის აღმოსავლეთით საბჭოთა ჯარების მესამე და მეექვსე დივიზიებმა კატეგორიული ბრძანება მიიღეს, აეღოთ ვარშავა, რის გამოც მათ დაიწყეს შეტევა რადიმინის მიმართულებით, რომელიც დროებით კიდევაც დაიკავეს, მაგრამ შემდეგ ლიტვის დივიზიამ ეს ადგილი კვლავ უკან დაიბრუნა. ხოლო აღმოსავლეთით გრძელდება მკაცრი ბრძოლები. პოლონელებმა გაარღვიეს ბოლშევიკების ფრონტი და დროგუსკი აიღეს. (დამახინჯებულია) ბოლშევიკები ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადარეკეს. მკაცრი ბრძოლების შემდეგ პოლონელებმა აიღეს (დამახინჯებულია) მათი კავალერია. რომელსაც ქვეითთა ჯარი ეხმარება, (დამახინჯებულია) სექტორში, ბუდინოის ჯართან ბრძოლას განაგრძობს. პოლონეთის მთავარსარდალმა ფრონტის შესამოკლებლად ბრძანება გასცა მდ. ბუგიჯკენ დახევის შესახებ. ამის გამო ქალ. ბროდი დატოვეს.

თათბირი მინსკში

პოლონეთის დელეგაცია კვირით მინსკში გაემგზავრა. დელეგაცია შესდგება გარეშე საქმეთა სამინისტროს, საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლებისაგან და სეიმის ყველა პარტიის 16 დეპუტატისაგან, რომელთა სათავეში სტანისლავ გრაბსკი სდგას. დელეგაციას თან ახლავს ექსპერტები, გენერალი ლიტოვსკი, პირადი მდივნით, და აგრეთვე ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელი. პოლონური გაზეთები იუწყება, რომ ორშაბათს მისია მინსკში ჩავალ.

კვირას დილით ბრიუსელში პირველი დიდი ფრანგული ბაზრობა გაიხსნა.

ფრანგულ გაზეთებს მოყავს ზარალის ანაზღაურების კომისიის მიერ გადაცემული ნოტა.

იმ ოქმიდან, რომელიც ნახშირს ეხება და რომელსაც ივნისის 16 სპაში მოაწერეს ხელი მოკავშირეებმა და გერმანიის მთავრობამ, სხვათაშორის ირკვევა, რომ ესენში განზრახული ყოფილა კომისიის მოწყობა, რომელშიც გერმანიის წარმომადგენელიც მიიღებს მონაწილეობას. კომისიის მიზანია შესწავლა იმ საშუალებათა, რომელთა შემწეობით შეიძლება გერმანიის მაღაროს მუშების მღვომარეობის გაუმჯობესება და მათთვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების მოწყობა. გერმანიის მთავრობას წანადადება მიეცა თავისი წარმომადგენელის დანიშვნის შესახებ.

მილიერანი ენის დეპარტამენტში.

მილიერანმა თავის მოგზაურობის დროს ინახულა ენის დეპარტამენტიც, სადაც მკაცრი ბრძოლები სწარმოებდა და რომელიც ამიტომ მეტათ დაზიანდა ა. მილიერანი დარწმუნდა, რომ მცხოვრებლებს მეტად დიდი ენერგია გამოუჩენიათ ამ სამეურნეო და სამრეწველო რაიონის აღდგენაში. ამ რაიონის ზარალი 22—23 მილ. მანეთს აღემატება. წარმოების აღსადგენათ ყოველგვარი ზომაა მიღებული.

საბოლოდ გამოირკვა, რომ მილერანი და ლოიდ ჯორჯი ერთმანეთს არ შეხვდებიან. ბრიტანეთის პრემიერი საადგარაკოთ წავიდა.

მინსკში გამართული მოლაპარაკება საერთო ყურადღებას იპყრობს. თუ პოლონეთის დელეგატებმა დღეს დილით რუსეთის საზღვრებზე გადასვლა მოასწრეს ⊘ მინსკში მოხვდენ, მაშინ სხდომის შემადგენლობა სრული იქნება.

მილიუტინი და საბჭოთა დელეგაციის ორი სხვა წევრი რომლებიც გამოემგზავრენ მოსკოვიდან მთავრობასთან პირადათ მოსალაპარაკებლად, გუშინ ღამით უნდა მოსულიყვენ რეველში და შემდეგ მოსკოვში ჰაეროპლანით უნდა გადაფრენილიყვენ.

გას. „დეილი ნიუსი“ სწერს: კამენევმა დეპეშით აცნობა მოსკოვში თავის მთავრობას გამოქვეყნებულ საზავო პირობების აუცილებლად მიღების შესახებ. ამასთანავე წითელი ჯარი ვარშავის ასაღებათ ყოველ ღონეს ხმარობს ასე რომ ვარშავა აუცილებლად დაეცემა.

ამ დღეებში პარიზსი და ლონდონს შუა გაიმართება მიწერ-მოწერა საფრანგეთის „აზრის“ შეცვლის შესახებ და სრული იმედია, რომ უთანხმოებას ბოლო მოეღება თუმცა ჯერ არ არის გარკვეული მაგრამ ფიქრობენ, რომ საფრანგეთის და ინგლისის პრემიერები ბულონის მახლობლად ვიმეროკში ერთმანეთს შახვდებიან ეს მხოლოდ იმ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში მოხდება თუ ამ კვირის დამლევს უთანხმოებას ბოლო მოეღება,

ლონდონის კონფერენციაზე ინგლისის პოლიტიკა არ შეიცვლება და ისევ ძველი დარჩება.

ვენიზელოსზე თავდასხმის შესახებ

ვენიზელოსზე თავდასხმის ამბავს ლონდონში დიდის მწუხარებით შეხვდენ. ევროპაში ვენიზელოსი დიდი პოლიტიკური ხაკვეთია და მისმა სიკვდილმა, შესაძლებელია, იმომქედოს ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და კერძოდ საბერძნეთზე. მის გადარჩენას ყველა დიდის სიხარულით შეხვდება.

კორკიდან მიღებულ ცნობით ნაციონალისტებმა, უნიონისტებმა და დებლინისა და კორკის კავშირის წარმომადგენლებმა ინახულეს პრემიერი. პრემიერმა ისინი სიამოვნებით მიიღო და სთქვა: თქვენი დარბაზობა ჩემი იმედის პირველი მაუწყებელია. პრემიერი დაეთანხმა დელეგაციის იმ აზრს და გამოსთქვა აზრი, რომ საჭიროა ყოველ მიმართულების და შეხედულებათა წარმომადგენლების შეკრება ომისა და ზავის საკითხის გამოსარკვევად.

სომხეთში

— სომხეთის მუშათა სოც. დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა მიმართოს მსოფლიო პროლეტარიატს პროტესტით რუსადერბეიჯან-ოსმალეთის ძალების მოქმედების გამო, რომელიც მიმართულია სომხეთის ხალხისა და მისი დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ.

— დამტკიცდა ახალი კანონი სამხედრო ბეგარის შესახებ. ამ კანონის ძალით ჯარში არ გაიწვევენ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთ, როგორც მაგალითად: რკინის გზის, ფოსტა ტელეგრაფის, მილიციის და სხვა. მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად ყარსში, გუმბრში და ერევანში მიიღებენ საზღვარ-გარეთ ფოსტით გასაგზავნ ფულს.

— აგვისტოს 16 ტ. ა. ბეკზადიანმა ინახულა საბჭოთა რუსეთის რწმუნებული ბ. ვ. ლეგრანი და აუწყა მას დეპეშით მიღებული ცნობა საბჭოთა რუსეთის ჯარების მხრივ აგვისტოს 10 შეთანხმების დარღვევის შემთხვევის შესახებ. ლეგრანმა უპასუხა: თუ ეს შემთხვევა მართალია, ალბად, გაუგებრობით არის გამოწვეულიო და შეპირდა, რომ კატეგორიულ განკარგულებას გავსცემ, რათა რუსეთის საბჭოთა ჯარის ნაწილებმა დაიცვან აგვისტოს 10 შეთანხმდებაო. ლეგრანმა განაცხადა, რომ კავკავში დაპატიმრებულ სომხეთის კონსულის განსათავისუფლებლად გაცემულია განკარგულებაო. ლტოლვილების საკითხის შესახებ ლეგრანმა განაცხადა, რომ მან დაავალა თავის თანამშრომელს ს. მ. ტერ-გასრელიანცს ამის შესახებ ცნობების მოწოდება.

— „არაჩის“ ცნობით: გარალაგეზის კომისარმა გამოუგზავნა მთავრობას დაწვრილებითი ცნობები ხორენისა და შირინიანის წამებისა და დახვრეტის შესახებ. ისინი საშინლად წამეს და დახვრეტის შემდეგ ხმლითა და ხიშტებით დაასასიჩრეს. დახვრიტეს აგრეთვე ცისიანის კომისარი ყაზარიანი და სასურსათო კომისარი გეხამიანი. იმათ ცნობებით დაშნაკელებისა და საზოგადო მოღვაწეობის სახლები აიკლეს და გაცარცვეს. მოწამეები შეძრწუნებულნი მოგვითხრობენ ბოლშევიკების მოქმედების შესახებ. დასახელებულ პირებს გარდა დახვრიტეს პოდოლ ფარსიანი დავით და გასპარ გალუსტიანები, ა. მალინეციანი, ტერ-დავიდიანი და სხვები. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწეები სადღაც დაიკარგენ.

— „შირაქი ა“ შხატოვარი“ სწერს: სომეხთა მოწინავე პოზიციები ნახიჩევანზე 7 ვერსითაა დაცილებული. ჯავშნიანი მატარებელი ორჯერ იყო ნახიჩევანში, მაგრამ მტერი ვერ იხილა. ნახიჩევანში ძალიან ცოტა მცხოვრებლები დარჩენ. დაარსებულია რევოლიციონური კომიტეტი. სომხეთის მზვერავებს აგვისტოს 10 რევოლიციონური კომიტეტის რაზმთან შეტაკება ქონდა. მზვერავებმა დაატოვებიეს მტერს 5000 პატრონა და ორი ტყვიისმფრქვეველი. ამავე რაზმს ჩვენებმა წაართვეს 30 ფუთი ხორბალი. (დ. ს.).

— წარსულ კვირას სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ტ. ა. ბეკზადიანი ინახულა ამიერ-კავკასიაში დანიშნულმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გრაფმა დემარტელმა და სომხეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ დიდხანს ესაუბრა.

— წარსულ კვირას ტ. ა. ბეკზადიანმა ინახულა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი. მას საუბარი ქონდა საქართველოსა და სომხეთის საერთო მდგომარეობისა და ამ ორი სახელმწიფოს შორის მეგობრულ დამოკიდებულების დამყარების შესახებ.

— სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნეიტრალურ ზონის საკითხის მოგვარების შეახებ ერთმანეთს ნოტები გაუგზავნეს.

პური თფილისისათვის.

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიმუშავა დებულება პურზე კონტროლის დაწესების შესახებ. დებულების განმარტებითი ბარათში აღნიშნულია: ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია პურის ფასების გადიდება, რაც მძიმედ მოქმედობს შეუძლებელ მცხოვრებთა ბიუჯეტზე. ამ გარემოებამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება სასურსათო განყოფილებისა. პურის კრიზისთან საბრძოლველად სასურსათო განყოფილებასთან დაარსდა პურის ბიურო. ეს ბიურო უკვე შეუდგა ტფილისისათვის საჭირო პურის შემოსატანად პრაქტიკულ ზომების მიღებას. ბიურომ ანგარიში გაუწია იმასაც, რომ სხვა და სხვა სპეკულიანტები და შუამავლებიც იძენენ ხორბლეულობას და გადასწყვიტა ენერგიული ღონისძიებანი მიიღოს ამ ადროტების მოსასპობად. ამ მიზნისათვის ბიურომ გახსნა იმ ადგილებში, სადაც პურს ყიდულობენ და ყიდიან, პურის კონტორები. პურის კონტორების მიზანია ებრძოლოს პურის ფასების აწევას, სპეკულაციას და სხვა და სხვა შუამავლებას. შემოტანილ ხორბალს იწერს კანტორა, ურომლისოდაც ხორბლის გაყიდვა არ შეიძლება. კანტორის გარეშე გაყიდული ხორბლეულობა ჩამოერთმევა პატრონს სასურსათო განყოფილების სასარგებლოდ განსაზღვრულ ფასებში. კანტორა რეგისტრაციისათვის არავითარ გადასახადს არ ადებს გასაყიდ ხორბალს. ქალაქის გამგეობამ ეს დებულება დაამტკიცა. გადასწყდა, გარდა უკვე არსებულ კანტორებისა, გაიხსნას კიდევ ახალი კანტორები შემდეგ ადგილებში: მაიდანზე და დესიმონოვის მოედანზე. კანტორა გაიხსნება აგრეთვე დეზერტირის ბაზარსა და საქართველოს რკინის გზების საქონლის სადგურზე. (დ. ს.).

ახალი ამბები

ფინანსთა სამინისტროში. ოთხშაბათს აგვისტოს 18 ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელის ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგება ფინანსთა სამინისტროს საბჭოს სხდომა. სხდომაზე გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) დამატებითი სამრეწველო გადასახადისაგან განთავისუფლება ზოგიერთი დაწესებულებისა, 2) კავკასია-ევროპის ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და ამ ბანკის ძირითადი თანხის გადიდება, 3) ვაჭართა ბანკის ძირითადი თანხის გადიდება, 4) პაიებზე დამყარებულ კავკასია-თურქესტანის ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და ძირითად თანხის გადიდება და 5) ენფიანჯიანცის თუთუნის ფაბრიკის ძირითადი თანხის გადიდება.

აფხაზეთის გზების შეკეთება. აფხაზეთის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მას გადაეცეს აფხაზეთის შარა-გზების შესაკეთებლად გადადებული თანხა. გზათა უწყების დეპარტამენტი ამის საპასუხოდ აუწყებს აფხაზეთის კომისარიატს, რომ სამწუხაროდ დეპარტამენტი საშუალებას მოკლებულია დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება. გზათა უწყების დეპარტამენტს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ აფხაზეთის კომისარიატმა გზათა კეთებას კონტროლი გაუწიოს. შარა-გზების სამმართველო აცნობებს აფხაზეთის კომისარიატს რამდენი თანხაა გადადებული შარა-გზების შესაკეთებლად და როგორი სამუშაო უნდა იქნას შესრულებული. თუ კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები შეამჩნევენ გზათა კეთებაში სინელეს, მაშინ იმათ ეს გზათა სამმართველოს უნდა აცნობონ, რაც გაადვილებს და დააჩქარებს მუშაობას. ამის გარდა გზათა კეთებას უნდა დაეხმაროს კომისარიატი მუშა ხელისა და საჭირო მასალის მიწოდებით. გზათა უწყების დეპარტამენტმა აცნობა ეს კომისარიატს და სთხოვა შეატყობინონ მას აფხაზეთის კომისარიატი თანახმაა, თუ არა ამ პირობით გზების კეთებაში მონაწილეობის მიღებისა.

საქონლის შეხყიდვა. ერობათა კავშირის კომიტეტმა ევროპაში მყოფ ფინანსთა მინისტრს კ. კანდელაკს თხოვნით მიმართა შეისყიდოს მან ერობისათვის სხვა და სხვა საქონელი, სახელდობრ: საპნის ქარხნისათვის საჭირო საქონელი; სასოფლო სამეურნეო იარაღი, მანუფაქტურა და სხვ. ეს საქონელი შესყიდული იქნება საზღვარ გარეთ თამბაქოს გაყიდვისაგან აღებულ ვალიუტით.

ბრძოლა ეპიდემიახთან. ერობათა კავშირმა სთხოვა გორის სამაზრო ერობას მიიღოს მან სწრაფი ზომები ეპიდემიის საწინააღმდეგო ჩირქის დასარიგებლად და ბაკურიანის რაიონებში ექიმების გასაგზავნად.

სამხედრო მინინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და გენერალური შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე დაბრუნდენ ლაგოდეხიდან.

მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელ გარეშე საქ. მინისტრ ე. პ. გეგეჭკორის საზღვარ გარედ გამგზავრების გამო, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაევალა სამხედრო მინისტრ გრ. ლორთქიფანიძეს.

შიკრიკის დაბრუნება აგვისტოს 14—მოსკოვიდან ტფილისში დაბრუნდა საქართველოს წარმომადგენლობის შიკრიკი პ. მესხი, რომელიც მოსკოვში საქართველოს წარმომადგენელთან იყო მრჩევლად.

ყაჩაღის მოკვლა. სოფელ ზარათში (ქუთ. მაზრა) სროლის დროს მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი სირბილაძე, რომელიც მთელს ოკრიბის რაიონს შიშის ზარს სცემდა.

ერობა

სილნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მეოთხე ყრილობა.

(30—VI—3—VII, 1920 წ.)

ყრილობა იხსნება 1920 წლ. ივნისის 30, სილნაღის სამაზრო საერობო გამგეობის ბინაზე.

ყრილობაზე გამოცხადდა 30 ხმოსანი.

ყრილობის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ გ. ნაცვლიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ნ. ხატისკაცი და მდივნად ი. სამადაშვილი.

ყრილობას ხსნის თავმჯდომარე გ. ნაცვლიშვილი, რომელიც მიმართავს ხმოსნებს სიტყვით, რომლის დასასრულ ორატორი მოაგონებს ხმოსნებს უკანასკნელ მომხდარ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს—ქალ. ბათომის და მისი ოლქის საქართველოსათვის გადმოცემას შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ და წინადადებას იძლევა გაეგზავნოს ამის გამო დამფუძნებელ კრებას მისასალმებელი დეპეშა შემდეგი შინაარსისა: „სილნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობა მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას დარწმუნებული, რომ დამფუძნებელ კრების და მთავრობის მიზანშეწონილი პოლიტიკა, როგორც დღემდის ისე მომავალში დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას შინ და გარედ და მით ხელს შეუწყობს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის შემოქმედ ძალთა აყვავება-განვითარებას ქართველი ერის საბედნიეროდ. მიულოცავს ბათომის და მისი ოლქის შემოერთებას და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში ჩვენი მთავრობა შესძლებს შემოიერთოს აგრეთვე გარემოებათაგან დროებით მოწყვეტილი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი „ნაწილი ზაქათალის ოლქი“, რასაც ყრილობა დიდის აღფრთოვანებით და ტაშით ეგებება.

შემდეგ ამისა თავმჯდომარე აქვეყნებს ყრილობის დღიურ წესრიგს:

1) მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ; 2) 1920 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 3) ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა; 4) თანახმად 11 ივლისის 1919 წლ. კანონისა უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ; 5) საერობო გამგეობის წევრთა ს. ნატროშვილის და ი. კრაწაშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

დღიურ წესრიგს ყრილობა უცვლელად იღებს.

პირველ საკითხზე, საერობო გამგეობის წარსული წლის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე მ. ახმეტელაშვილი, რომელიც აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდება მუშაობა გამგეობას დღიდან მისი მოწვევისა.

მომხსენებელი გაკვრით ეხება აგრეთვე განყოფილებათა მოქმედებას და უფრო დაწვრილებით ჩერდება მის გამგეობაში მყოფ სახალხო ჯანმრთელობის განყოფილებაზე და ამბობს, რომ საექიმო პერსონალის უშოვნელობა მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო. მაინც ჩვენ შევსძელით გაგვეუმჯობესებინა საექიმო დახმარების ორგანიზაცია. ამ ჟამად მაზრაში 7 ქსენონი საექიმო პუნქტი გვაქვს და სამი საფერშლო პუნქტი და სამი საკუთარი აფთიაქი, საიდანაც ეძლევა მცხოვრებლებს წამალი გაცილებით ნაკლებ ფასებში, კიდრე კერძო აფთიაქებშია.

(შემდეგი იქნება)

მუშათა ცხოვრება

სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

მუშათა მაგიდამ აცნობა მომარაგების სამინისტროს, რომ ამ ჟამად მუშათა მაგიდაში 65,000 მომხმარებელი ირიცხებაო. ამის და მიხედვით ქალაქის სასურსათო განყოფილებამ ყოველ დღიურად უნდა გაუშვას არა უმეტეს 1200-1250 ფუთი პურისა.

სურსათ-სანოვაგის მიწოდების შედეგები.

თანახმად მუშათა მაგიდიდან მიღებულ ცნობებისა მომარაგების სამინისტროში მუშებს შორის პურს შემდეგ ნორმად აწესრიგებდა: ივნისში იძლეობა 62.498 ულუფას (1562 ფუთს), აგვისტოში აძლევს 65,844 ულუფას. მუშათა მაგიდიდან პურის მიმღებნი 99 ჯგუფად არიან დაყოფილი. მუშათა მაგიდის კონტროლიორები სინჯავენ და ხშირად თვით ესწრებიან დაწესებულებათა შორის პურის გაყოფვას. ამ უკანასკნელ დროში კონტროლიორების მუშაობის გამო ბოროტმოქმედებათა რიცხვი მეტად შემციდრა.

შეშა მუშებისათვის.

მუშათა მაგიდამ დასავლეთ საქართველოში თავისი წარმომადგენლები დაგზავნა მუშების და მოსამსახურეების საჭიროებისათვის შეშის შესასყიდლად.

მანუფაქტურა მიწის მუშებისათვის.

ერობათა კავშირის გამგეობა ღებულობს ზომებს იტალიის ფირმებისაგან მიწის მუშების საჭიროებისათვის მანუფაქტურის შესასყიდათ.

ფოსტა-ტელეგრაფში

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა შემოსავალი.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში გამოიანგარიშეს ივნისის შემოსავალი. შემოსულა საფოსტო-წერილებისა და სხვა გადასაგზავნისაგან 2.880.534 მ. დეპეშებისაგან 3.800.113 მან., ტელეფონებიდან შემოსავალი უდრის 1.081.253 მან. სულ შემოსულა 7.161.910 მან. მაისთან შედარებით შემოსავალი გაზრდილა 1.300.000 მანეთით, წარსული წლის ივნისთან შედარებით კი 6.000.000 მ.

საფოსტო კანტორა არდაგანში.

არდაგანის ფოსტა-ტელეგრაფას კანტორამ ჯახსუს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებასთან, რომელიც მდებარეობს არდაგნის ოლქში, საფოსტო დამოკიდებულება განაახლა.

ქუთაისის ამბები.

თანახმად ქუთაისის ერობის ცნობებისა დასავლეთ საქართველოში ყურძნის კარგ მოსავალს ელიან. მიწის მუშები ერთხმად აღიარებენ რომ დასავლეთ საქართველოს ყურძნის ასეთი მოსავალი დიდი ხანია აღარ უნახავსო. ერობათა დაწესებულებებმა ვენახის წამლობას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება. ზოგიერთ ადგილებში გლეხები უკვე ყიდიან ყურძნის მოსავალს, რომ ამით სიმინდი შეიძინონ. სიმინდი ქუთაისის და სამტრედიის ბაზარზე ფუთი 2000—2200 მან. ფასობს. სამაზრო ადმინისტრაცია იღებს ზომებს ტყვიბულის რაიონში ძარცვა-გლეჯის აღმოსაფხვრელად. ყაჩაღებს ხელმძღვანელობს სირბილაძე და ნანიკაშვილი. სამაზრო ადმინისტრაცია ჩაუსაფრდა ყაჩაღების ბრბოს. რამოდენიმე დაიჭირა და ერთი მეთაურთაგანი კიდევაც მოჰკლა. თავდასხმები შენელდა.

სოფლის ცხოვრება

მათხოჯის სახალხო სახლის ფონდი

მათხოჯის სახალხო სახლის აღმაშენებელი საბჭო აცხადებს, რომ ბევრს გაუვიდა დრო დაებრუნებია „ფურცელი“ და შეკრებილი ფული.

ამიტომ საბჭოს საჭიროთ მიაჩნია პატივისცემით სთხოვოს იმ პირთ, ვისაც დავალებული აქვს მათხოჯის სახალხო სახლის ასაშენებლად მიიღონ შემოწირულების შეკრება თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს შორის,—დააჩქარონ მოვალეობის შესრულება.

ფული უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით: ქალ. ხონი, ხონის საურთიერთო ნდობის ბანკს. მათხოჯის სახალხო სახლის მიმდინარე ანგარიშში შესატანად.

ხოლო „ფურცელი“: ტფილისში, არაგვის ქუჩა, № 6. ვ. ძიძიგურს, მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში შემომწირველთათვის მადლობის გამოსაცხადებლად.

საბჭოს თავმჯდომარე **ვარლამ ძიძიგური.**

ხაზინადარი **ლავ. ჩიმაკაძე.**

მდივანი **ვანო კარახანიძე.**

შინაწერი: სახალხო სახლის საბჭო დაბეჯითებით სთხოვს ყველა ქართულ გაზეთს ამ ცნობის გადაბეჭდას.

საბჭო.

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა დროებითი მოწმობა № 3668 ალექსანდრე ივანეს ძე და მართა იპატის ასული ბიკოვების სახელზე, მიღებული კავკავის მილიციის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2253 3—3

დაიკარგა ჯვარის წერის მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო ტაძრის მოძღვრიდან, პირადობის მოწმობა, მიღებული მერევის თემიდან ლეონინა სპირიდონის ძე სამხარაძის სახელზე დამომწმებული სურათი ონიფონტე სამხარაძის. 2255 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი და პირადობის მოწმობა № 3162 სერგეი პეტრეს ძე და მარია გუსტოვის ასული ბატურინების სახელზე, მიღებული ნალჩიკში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2249 3—3

იარლიკები, ბაქოს საბაჟოს კვიტანციები და ზედნადებები (накладныхъ) დუბლიკატები №№ 087423, 087431, 087448, 087498, 087507 და 087528 ნავთ სადენით გადაგზავნილ ნავთისა ბაქო ტრანზიტი ბათუმი, სავჭრო სახლის ს. მ. შრიროს და ს. ი. ზუსმანის სახელზე წაღებული ძმ. ზეინალოვის კანტორის მიერ და მიუხედავათ ნოტარიალური განცხადებისა ა. წ. 5 აგვისტოდან-ჯერაც არ დაუბრუნებიათ. გაუქმებულად ჩაითვალოს. რწმუნებული ს./ს. ს. მ. შრირო და ს. ი. ზუსმანის ედელსონი. 2280 3—3

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 183 დაბეჭდილ განცხადების სავჭრო სახლი ს. მ. შრიროს და ს. ი. ზუსმანის სახელობის სააქციო კვიტანციების იარლიკების და ზედნადებების დუბლიკატების №№ 087423, 087431, 087448, 087498, 087507 და 087528 გაუქმების შესახებ-კანტორა ძმ. ზეინალოვების აცხადებს, რომ აღნიშნული საბუთები გადაცემული იყო აშოტ ალექსანდრეს ძე ნასიბოვზე რომელმაც მიუხედავათ ნოტარიალური განცხადებისა, უკან არ დააბრუნა. კანტორა თავის მხრით გაუქმებულად სთვლის მათ. ძმ. ზეინალოვის რწმუნებული ა. ხოშტარია. 2296 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბორის (რაჭის მაზრა) საზოგადოებიდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ს. მრავალძლის ეკლესიიდან და სამსახურის მოწმობა, მიღებული ტფილ. მთავარ პურის საცხობიდან. სიმონ იოსების ძე სხირტლაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოი. 2247 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად სოხუმის უბნის მომრიგებელ მოსამართლის ყადაღის წერილისა 4 მაისის 1920 წ. № 867 ყადაღა ედება ხურშუტ ოსმანის ძე შამბას უძრავ ქონებას, მდებარე ქ. სოხუმში, შერვაშიძის ქუჩ. უბ. „6“, № 5, რომელიც შესდგება ორი მიწის ნაჭერისაგან, ზომით ორივე ნაჭერი 173, 68 ოთხკუთხ. საჟ. 799 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 407 4 კომისარიატის უმცროსი მილიციონერის ვალოდია რაჟდენის ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2230 3—3

დაიკარგა პირადობის და იარაღის ტარების მოწმობა № 404, ალექსანდრე პეტრეს ძე ზარქუას სახელზე, მიღებული საპყრობილეთა მახლებელ რაზმის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2244 3—3

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული კიევის სამხედრო საავადმყოფოდან 1906 წ. ყვირილის ნორმალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა პირი, უვადო პასპორტი № 1092, მიღებული ჯევათის მაზრის უფროსისაგან 1908 წ. და ამიერ კავკასიის რკ. გზაზე ნამსახურობის ატესტატი-უფროსი ტელეგრაფისტი ილია გიორგის ძე კაპანაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2270 3—2

დაიკარგა პასპორტი მიკირტიჩ და რიფსიმე არიუტინიანცების სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2227 3—2

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე მიხეილის ძე საგატელოვის სახელზე, მიღებული სომხების წარმომადგენელისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2229 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების ნუსხა № 7, ილია გიორგის ძე ღვალაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2250 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივნისის 21-ს დამტკიცდა, შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფ. სუჯუნას მცხოვრ. ნინა იესეს ძე მატკავამ და ქ. სოხუმის მცხოვრ. ეფრემ ხარლამპის ძე ელიავამ მიჰყიდეს 200000 მან. ქ. სოხუმის მცხოვრ. გრამმატიკოპულოს და ქ. გაგრის მცხოვრ. ანნა ნიკოლოზის ასულს კასაპიდის 2 მიწის ნაჭერი შენობებითურთ, მდებარე ქ. გაგრაში (ახალი გაგრი), ზომით ერთი ნაჭერი 111,5 ოთხკ. უთხ. საჟ. და მეორე 90 ოთხკუთხ. 842 1—1

დაიკარგა ექვსი კლასის ატესტატი № 1560 და შვიდი კლასის მოწმობა № 1883, მიღებული ქუთაისის რეალური სასწავლებლიდან 1911 წ. ამბაკო ასლანის ძე გაფრინდაშვილის სახელზე. 2312 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი პეტრე დიდის ქუჩაზე № 91 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გრიგოლ არაფელოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2294 3—1

დაიკარგა პასპორტი ლევლევის ძე მარკოვის სახელზე, მიღებული კავკასიის სახელმწიმამულების ყოფილ ინსპექტორის სამმართველოდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2295 3—1

დაიკარგა პასპორტი № 213 აგრეფინა სპირიდონის ასული აბულაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის ეროობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2300 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1993 ივანე აბრამის ძე როზენბერგის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 11 ივანობისთვეს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 49 ნაწილში № 2085, 145 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული გუდაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ სიმტკიცის მოწმობა № 37-ით, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ნიკოლოზ კუჩუას ძე ბერძელიშვილმა შეიძინა უძრავი მამული, კუთვნილი ქ. გუდაუთისა, მდებარე ქ. გუდაუთში, რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს № 21, ზომით 123, 19 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 839 1—1

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი, მიღებული ტფ. ქართულ გიმნაზიიდან 1916 წ. მეტრიკული მოწმობა და სხვა საჭირო საბუთები—ლევან ცისკარიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2288 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 12 ივანობისთვეს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული გუდაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ნიკოლოზ კუჩუას ძე ბერძენიშვილმა მიჰყიდა 4500 მან. ქ. გუდაუთის მცხოვრ. ათანას კვეტანის ძე ლისენკოს მიწის ნაჭერი შენობებითურთ, მდებარე ქ. გუდაუთში, კვ. № 189, № 21, ზომით 123, 19 ოთხკუთ. საჟ. 838 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივლისის 5-ს 1920 წ. ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-25 ნაწილში № 1152, 28 გვერდზე აღნიშნულია პირი გადაწყვეტილებისა სოხუმის ქალაქის უბნის მომრიგებელ მოსამართლის 21 აპრილისა 1920 წ. გაცემული 27 მაისს № 1134-ით, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. მარია ივანეს ასულმა გრაველმა შეიძინა უძრავი მამული, კუთვნილი ირლია ივანეს ასულს დავიდოვას, მდებარე ქ. სოხუმში, და რომელიც შეადგენს უფლებას 150 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 837 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 15 ივანობისთვეს 1920 წელს დამტკიცდა შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის ზაგრაისკის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. პოლოს ვარტანის ძე ბუზოგლიმ მიჰყიდა 15000 მან. ქ. სოხუმის მცხოვრ. ბაგრატ პავლეს ძე გვარამიას და ნიკოლოზ პეტრეს ძე პაპასკირს ნაწილი მიწის ნაჭრისა შენობებითურთ, მდებარე ქ. ოჩემჩირირეში სავაჭრო მოედანზე უბ. № 56, ზომით 120 ოთხკუთხ საჟ. 836 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 15 ივანობისთვეს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-49 ნაწილში, № 2087, 160 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული ქუთაისის ოლქის სასამართ. მიერ 47 მაისს 1920 წ. № 36532-ით, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. პოლოს ვარტანის ძე ბუზ-ოგლიმ შეიძინა უძრავი მამული, მდებარე ქ. ოჩემჩირეში სავაჭრო მოედანზე უბ. № 56, და რომელიც შესდგება მიწის ნაჭერისაგან სამი ქვის დუქნებით, ზომით 240 ოთხკუთხ. საჟ. 835 1—1

სოხუმის ოლქის სამმართველოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივანობისთვეს 1920 წელს დამტკიცდა შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრებმა ანტონ და იოსებ ფაბიანისძეებმა როდზევიჩებმა და სხვ. მიჰყიდეს 100000 მან. ქ. სოხუმის მცხოვრ. ბესარიონ მიხეილის ძე, იგივე მიქელის ძე ცაგურიას უფლება 3 4 ნაწილზე მიწის ნაჭერისა შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, ზომით 360 ოთხკუთხედი საჟ. 834 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივნისის 28-ს. 1920 წელს, დამტკიცდა, შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევგენია ნიკოლოზის ასულმა, დავით და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აბგაროვებმა მიჰყიდეს 45000 მან ქ. სოხუმის მცხოვრ. სიმონ სვიმონის ძე კარტოზიას აღმოსავლეთი ნაწილი მიწის ნაჭერისა შენობებით მდებარე ქ. სოხუმში ლორის-მნლიქოვის ქუჩაზე, უბ. ლიტ. «И», № 2, ზომით ეს ნაწილი 143,75 ოთხკუთხ. საჟ. 845 1—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა მიცემული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. № 2309 პლატონ ებანოიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2289 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმათ მისი ყადაღის წერილისა 26 აპრილისა 1920 წ. ყადაღა ედება გრიგოლ თომას ძე ნაჟალიას უძრავ ქონებას მდებარე ქ. გუდაუთში, უბ. 12 №№ 1 და 2, რომელიც შესდგება ორი თანაზღვარ მიწის ნაჭრებისაგან, ზომით 1 ნაჭერი 100 ოთხკუთხ. საჟ. და 2-250 ოთხკუთხ. საჟ. შენობებითურთ კრებული ყადაღების წერილებისა სოხუმის ოლქისა 1920 წ. № 2. 800 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივანობისთვეს 1920 წ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, მე-9 ნაწილში, № 119, 202 გვერდზე, აღნიშნულია ქუთაისის ქალაქის სამომრიგებლო მოსამართლის დადგენილების პირი 28-მაისის 1917 წ. რომლითაც მარია ეგორის ასულმა კაბჩენკომ შეიძინა უფლება 1 8 ნაწილზე მიწის ნაჭერისა, მდებარე ქ. სოხუმში ზომით 360 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 833 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივნისის 19-ს 1920 წელს დამტკიცდა შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ნიკოლოზ და მიხეილ მიხეილის ძე ადიხაზოვებმა მიჰყიდეს 120000 მან. ქ. სოხუმის მცხოვრ. მიხეილ მერაბის ძე მაღლაკელიძეს მიწის ნაჭერი შენობებით მდებარე ქ. სოხუმში, სავაჭრო ქუჩაზე, უბ. ლიტ. „Т« № 3, ზომით 74,49 ოთხკ. სჟ. 844 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივნისის 19-ს 1920 წელს სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-4 ნაწილში, 2089, 163 გვერდ. აღნიშნულია პირი დადგენილების ტფილისის სასამართლოს პალატისა 16-23 თებერვლისა 1920 წ. გაცემული სოხუმის ოლქის სასამართლოს მიერ პირით 3 მაისს 1920 წ. № 263-ით რომელი დადგენილებითაც დაბა სუჯუნას მცხოვრებმა ნინო იესეს ასულმა მატკავამ შეიძინა უფლება მიწის ნაჭერის 1/2 ნაწილზე ახალ გაგრაში, რომელიც ეკუთვნოდა სვიმონ იესეს ძე საბაშვილს და ეფრემ ხარლამპის ძე ელიავას, ზომით ეს ნაჭერი 90 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივანობისთვეს 1920 წ. ქ. სოხუმის საქმეთა ნუსხაში 25 ნაწილში, № 1149, 19 გვერდზე, აღნიშნულია სიმტკიცის სიგელი, შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ უძრავ მამულის შეძენაზე ქ. სოხუმის მცხოვრ. ევგენია ნიკოლოზის ასულის, დავით და ალექსანდრე მიხეილის ძე აბრამოვიჩების მიერ ქ. სოხუმში მდებარე ლორის მელიქოვის და გეიმანოვის ქუჩების კუთხეში, უბ. ლიტ. И და რომელიც შეადგენს ერთი მიწის ნაჭერს № 2-ით, ზომით 298, 6 ოთხკუთხ. საჟ. შენობებითურთ. 841 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 16 ივანობისთვეს 1920 წ. ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-19 ნაწილში, № 800, 188 გვერდზე აღნიშნულია, შესრულებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ, სიმტკიცის მოწმობა № 9, რომლითაც ქ. ქუთაისის მცხოვრ. ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანმა შეიძინა საჯარო ვაჭრობიდან უძრავი მამული კუთვნილი ვლადიმერ აპოლონის ძე რეკსის. მდებარე ქ. სოხუმში და რომელიც შესდგება მიწის ნაჭერისაგან № 23-ით, 2343, 84 ოთხკ. საჟ. 840 1—1

აღბულაღის სატყეო სამმართველო აცხადებს, რომ

1920 წ. სექტემბრის 5-ს დღის 12 საათზედ აღბულაღის სატყეო სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საშეშე და სანახშირე ტყეზე საგინოვის ყოფილ ტყიან მამულში რაოდენობით 5 დესეტინა, ანგარიშით 120,5 კუბ. საჟენი და შეფასებული 54,337 მანეთი და 20 კაპ. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება აღბულაღის სატყეო სამმართველოში. 846 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.